№ 150

პარასკევი, 16 ივლისი, 1899 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899


# ივერია


№ 150

პარასკევი, 16 ივლისი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227



ეროვნული ბიბლიოთეკა



## ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

ღარიბთ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამდ.
აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.
განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—75—16)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:
**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
**ე. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ფ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.
**ა. შ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.
**ა. გ. ბურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:
**ბ. ა. ნავასარდიანი** 7½—8 საათ.
**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ).


## ახალი ამბავი

*** ფინანსთა მინისტრმა დაამტკიცა გ. გ. ადელხანოვი ტფილისის საკომერციო სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო წევრებად—ა. ი. მანთაშევი, გ. დ. დავიდოვი, ა. თ. ფრიდონოვი, თავ. ვ. ს. მიქელაძე, მ. ი. დოლუხანოვი და ი. ა. შადინოვი, ყველანი სამის წლის ვადით, ამა წლის 1-ლ ივლისიდგან.

*** სამშაბათს, 13 ივლისს, საღამოს, „ლონდონის“ სასტუმროში, სხვა მრავალთა შორის სადილობდნენ ტფილისის გუბერნატორი ი. ნ. სვეჩინი, ვიცე-გუბერნატორი კ. კ. სტეფანოვიჩი, ბ-ნი ტებენკოვი და სხ. ერთის საათის შემდეგ ყველა მოსადილეებმა მუცელში ტკივილი იგრძნეს, ყველას პირის ღება დააწყებინა და გამოაჩნდათ მოწამვლის ნიშნები. მოწამლულთ მათს ბინებზედ სამკურნალო დახმარება აღმოუჩინეს. პოლიციის გამოძიებამ გამოარკვია, რომ აღნიშნულ სასტუმროში იმ დღეს მოიწამლა 15 კაცი, სხვათა შორის, სასტუმროს პატრონიც ბ-ნი რიხტერი. სასტუმროდგან გაგზავნილ იქმნა გამოსაკვლევად სასმელ-საჭმელების ნიმუშები საგუბერნიო გამგეობის სამკურნალო განყოფილებაში და ქალაქის საქიმიო ლაბორატორიაში. მოწამლულნი უკვე იკურნებიან. („კავ.“).

*** ამას წინად გარდაცვალებულს ბაქოელ კაპიტალისტს რილსკის ათ მილიონ მანეთის ქონება დარჩენია.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობის დადგენილება ცხენის რკინის გზის გამოსყიდვის შესახებ დაამტკიცა საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ, მაგრამ იმ პირობით-კი, რომ ქალაქმა არ დაიწყოს ამ გზის წარმოება, არამედ უთუოდ გარდასცეს სხვა კონცესიონერებს.

*** ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, განკარგულება მოახდინეთ, რომ ყოველ დღე რამდენჯერმე ირწყვებოდეს მტკვრის წყალით გოლოვინის პროსპექტი, სასახლის ქუჩა, ერევნის მოედანი, სოლოლაკისა, მიხეილისა, ვორონცოვისა, პუშკინისა და სხვა უმთავრესი ქუჩებიო.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოება უკვე შეუდგა ალექსანდრეს ბაღში სამეურნეო იარაღის საწყობის გამართვას. ამასთან საზოგადოების ბიუროს მოლაპარაკება აქვს გამართული სხვა-და-სხვა მექარხნეებთან საუკეთესო იარაღების მოსაპოვებლად.

*** ტფილისის საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ დაამტკიცა ტფილისის ქალაქის საბჭოს დადგენილებანი: დაწესებულ იქმნას ტვირთის მზიდველ კამეჩებისა, ხარებისა და სახედრებზედ შემოსაღებ გარდასახადის რაოდენობა და დადგენილ იქმნას გარდასახადი საყასბოსთან გამართულ საქონლის დასაყენებელ ადგილით სარგებლობისათვის.

*** ტფილისის საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ განიხილა ქალაქების: თელავისა, სიღნაღისა, დუშეთისა და ახალციხის ხარჯთ-აღრიცხვა და აგრეთვე ქ. თელავის რწმუნებულთა კრების დადგენილება სასანიტარო მზრუნველთა არჩევის შესახებ, რომელთა სია არ იქმნა დამტკიცებული, რადგან არჩეულთ ცენზი აკლიათ.

*** ქალაქის მოურავის მოადგილემ შეიწყნარა მიხ. კილოსანიძის თხოვნა იმის შესახებ, რომ ამ ყმაწვილ კაცს, რომელმაც წელს დაამთავრა კურსი ტფილისის 1-ლ გიმნაზიაში, დაენიშნოს უნივერსიტეტში სტიპენდია 380 მან. განსვენებულის ი. ს. აბესალომოვის სახელობისა.

*** 14 ივლისს იარალავის ქარხნის მმართველმა განუცხადა ქალაქის მოურავის მოადგილეს: ქარხანა წყლის მილების უწეს-რიგობის გამო უწყლოდ არის და თუ ამ ამბავმა კიდევ გასტანა, იძულებული ვიქმნები 300 მუშა დავითხოვო, რომელნიც ამის გამო ულუკმა-პუროდ დარჩებიანო.

*** ფინანსთა სამინისტროს გამოუგზავნია მცოდნე კაცები კავკასიასა და ამიერ კავკასიაში ნავთის წარმოების საჭიროებათა გამოსარკვევად.

*** საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ გამორიცხა ტფილისის გუბერნიის ქალაქთა შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვიდგან ის გარდასახადები, რომელიც მკვიდრზედ დარჩენილი და მოსალოდნელ შემოსავლად არის აღნიშნული, რადგან იმ დედა-აზრს დაადგა, რომ გადაუხდელი გარდასახადი საზოგადოდ არ უნდა იქმნას შეტანილი შემოსავალთა აღრიცხვაში.

*** კახეთიდგან შემდეგი ცნობები მოვიდა ვენახების მდგომარეობის შესახებ: იმ სეტყვის გამო, რომელიც გაზაფხულზედ ხშირად და თითქმის ყველგან მოდიოდა კახეთში, ღვინის მოსავალს მრავალგან ცუდი პირი უჩანს. ნამეტნავად დიდი ზარალი მიეცათ სეტყვისაგან სოფლებს სანიორესა და ველისციხეს, სადაც

## ფელეტონი

### სიყვარულის ამბავი
(ხალხის ცხოვრებიდგან)

II *)

— ღმერთო, ეს რა ბოროტი ხალხია, ეს რა წყეული ქაჯ-ეშმაკების ქვეყანაა, თქვენი ჭირიმეთ!.. დაიწყო ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ დარიკომ, ახლა აღარა მკითხავ, მალალო, ჩვენებიც როგო შაშალეს და კადარივეს ნიკოს მტრებმა. ყური მოჰკრეს თუ არა, ნიკო დარიკოზე დანიშვნას აპირობსო, იმავ წუთას ნიკოს მტრები კიდე ჩვენი სახლის ფერეფნიდამ ამოჰსქდნენ ჭიანჭველების ბუინასავით და იგეთ საზარელ ჴალაცეებს გველაპარაკებოდნენ ნიკოზე და ისეთი ჯადობაზური ენით აძაგებდნენ და სთხრიდნენ ბოლოკით, რო თითონ გულთა-მხილავი ღმერთიც-კი დაიჯერებდა ერთხანად ამ დაუჯერებელ ჭორებს და ჩემს აწყალს დედ-მამას ხო იგრე შაუცვალეს გული და გადარივეს მაშინვე, რო იქვე ჩემ თვალწინ ეუბნებოდნენ ჭორის გუდებს: „დაღუპოს ღმერთმა, დახეთ რა გდებულა ი შეჩვენებული და ჩვენ-კი როდი ვიცოდით, ეხლა ჩვენ იმას ქალს-კი არა, ძაღლსაც აღარ მივცემთ, ძაღლსაცო“. იცი რა დამემართა მე მაშინ, მალალო, აბა გამოიცან?..

— რა ვიცი, გულთმისანი ხო არა ვარ, რო გამოვიცნო.

— მაშ მე გეტყვი: ნიკოს მტრებისაგან ათასნაირმა ჭორიანმა ძაგებამ უფრო ენით-გამოუთქმელად შამაყვარა ნიკო, ქალური რიდი და სირცხვილი მთლად დამაკარგვინა იმათმა ძალზე საზიზღარმა უსვინდისობამ და გულ-გააფთრებული სეტყვა-მეხივით ვაყრიდი ნიკოს მაძაგებელ მტერ-დუშმნებს ამ სიტყვებს: „ნიკოზე ვაგლახი, იმაზე ცუდი და ავაზაკი ადამიანი რო ჯერ ღმერთს არ გაეჩინოს და თუნდა დღესაც საციმბირო საქმე ჩაიდინოს, მაინც მე ის მიყვარს და ის უნდა შავირთო ქმრად და სხვა არავინ ქვეყანაზე, თუნდაც რო ორთხემწიფის შვილმა მაიწადინოს ჩემი შერთვა მეთქი“. ამ ჩემი სიტყვების გაგონებაზე ჩემი დედ-მამა გაკვირებით მიჯავრდებოდა: „რეებს მიჰქარავს ეს უსირცხვილო! ხმა ჩაიწყვიტე, შე დედა მიწა-გასახეთქოო“, და ნიკოს მტერ-დუშმნებიკი წელ-მოწყვეტილ გველებივით მიხოხავდნენ თავ-თავიანთ სახლისკენ ჩემგან პირში ჩალა-გამოვლებული კუდ-ამოძუებულები. ჰი, ჰი! დაუდგეთ თვალი, ჰხეთქავდეთ მჭვალი, მოუკვდეთ გული, წაუწყმდეთ სული!.. აი ეგრე ჯვარს...

— უჰ, შენ გიშველოს ღმერთმა, დარიკო, როგორც შენ მე მაგ ლაპარაკით გულზე საფლავის ლოდებივით დაწოლილი სევდა-ნაღველი გამიქარწყლე და გამაცოცხლე. დაფქვი, დარო, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, შენ გეთაყვანე, დაფქვი, აღარ გაგაწყვეტინებ,—რაღაც მადლობის კილოთი უთხრა ეს სიტყვები მალალომ, რომელსაც ცის ელვასავით უბრწყინავდნენ თვალნი მელნისა ტბისანი.

— რაღა დავფქვა, ქალაიავ, აი ეგრე ჯვარს მაცვა, დამტანჯა და მაწამა სიყვარულმა, და ბოლოს-ბოლოს, როცა ჩვენებსაც ჭორები ღვინოსავით გამოჰნელდათ და ნიკოს დასიძეება ორი ხელით მოიწადინეს, როცა ნიკომაც გული დააჯერა, რო ჩვენი მტერ-დუშმანები მტრობით მაძაგებდნენ და ნიკო ჩემი გახდა, ოხ, მაშინ-კი ორი წლის მკვდარი დანდობილა გავცოცხლდი, სიყვარულის ცეცხლის ალით დამწვარი და ძვალ ტყავად ნაქცევი უეცრად შუქნათლიან მთვარესავით გავივსე და გავიბადრე ენით-გამოუთქმელი ბედნიერება-სიხარულით ყელთამდის ავსილი, მეტის-მეტი ტკბილი, საამო ფიქრებით ღამეც აღარ მეძინებოდა, სულ რაღაცა სამოთხის ნეტარებაში დავფრინავდი და ჩემზე ბედნიერი ადამიანი აღარავინ მეგონა მთელს დუნიაზე!.. ღმერთო, რა ენით-წარმოუთქმელი სამოთხე და ჯოჯოხეთი ყოფილა სიყვარული!.. ნეტავი გამაგებინა: სიყვარულის სამოთხესა და ჯოჯოხეთს სხვა რომელიღა სამოთხე და ჯოჯოხეთი შეედრება ცა-ქვეყანაზე?.. აბა სხვა რაღა გითხრა, მალალო, მართალია ჩემი ნიკო ღარიბი, ხელ-მარტო კაცია და დღიური შრომით უნდა მაცხოვროს, მაგრამ ნიკოსთან რო საუკუნოდ აფშრუკული ნაცარი ვჭამო, ის მირჩევნია უფსო თვალ-მარგალიტებით სავსე სამოთხეში ყოფნასაც. აჰა, აი ესაც ჩემი სიყვარულის ამბავი, არც ეხლა დამეხსნები?

აქ-კი ორნივ დობილნი გაჩუმდნენ, ორნივ რაღაც ფიქრებმა გაიტაცეს სადღაც ოცნების სამეფოში, და ბოლოს ისევ დარიკომ დაარღვია სამარისებური სიჩუმე:

— ჩემო მეგულისპასუხე, მალალო, ჩვენ ხო, რაც თავი შეგვისწავლია, ერთმანეთისათვინ გულის პასუხი არ დაგვიმალავ და მოგიკვდეს ვინც გულის საყვარელი გეგულებოდეს, თუ სიმართლით არ მითხრა: შენს მთხოვნელებში ვინ გიყვარს: მალაქო თუ მალხაზო.

— მალხაზო,—რაღაც დარცხვენის გაუბედაობით წარმოსთქვა მალალომ დაბალ ხმა-კილოზედ, თეთრ-შუქიანი ლოყები ჰია ფერ-გადასხმულ ქაღალდივით აუწითლდა ყაყაჩოს ფრად და შავი-ბრიალა თვალები მიწისაკენ დაეხარა თავ-ჩახრილ იასავით.

— მალაქო რო ოჯახიშვილია, და მალხაზოს-კი შინ კატა არას შაუჭამს და გარეთ ძაღლი?

— მეხი იმასაც ჩავათხლიშე და იმის ქონებასაც. რა ეშმაკად მინდა იმისი ცარიელი ქონება, როცა ის ჩემ გულს იგრე არ ეკარება, როგორც კედელს ცერცვი არ უდგება და ყინვას ცეცხლი არ ეკიდება.

— იიი, ჩუმათ ერთიიი, მა ი მამა-პაპის ვალებისაგან გამოხრული მალხაზო რაღა იგეთი წითელი კოჭია, ვინ არი, რა გდია, რო იმის გულისათვინ აიგეთ ოჯახის ახალგაზდა ითვალწუნებ.

— ვინ არი, რა გდიაო?!. უკაც რაოდ!.. მალხაზო ცარიელ ქვაზედაც იცხოვრებს თავის გამრჯელი ვაჟკაცობით, და მალაქოს-კი მამის მონაგარ ქონების მოვლის შნოც არა აქვ,—შუბლ-შეჭმუხვნილის სიამაყით წარმოსთქვა სახეზე წყენის ალმურ ავარდნილმა მალალომ და ზედვე დააყოლა: ათას ჭირსა და ლხინში

*) იხ. „ივერია“ № 149.

თითქმის ყველა ვენახი დაისეტყვა. ძლიერ დაზარალდა აგრეთვე სოფლები: კოლოთო, ხორსელი, ქისტაური, ნაფარეული, შამიანი, მუკუზანი და სხ. ნაცარი და ობი, ვენახების წამლობის გამო, ნაკლებად ძლიერდება. მხოლოდ ალაზნის გაღმა მხარეს ვენახების ოცი პროცენტი დარჩა უწამლავი; ამის მიზეზი იყო სამკურნალო მასალის სიცოტავე სამეურნეო საზოგადოების საწყობებში. ვაჭრები და მედუქნენი სარგებლობდნენ ამ გარამოებით და ფუთ შაბიამანს ჰყიდდნენ 8 მან., $7^1/_2$—5 მანეთის მაგივრად. საზოგადოდ კახეთის მევენახეთ საქმე აქვთ გაძნელებული ვენახების წამლობის დროს, საწყობებისა და სამკურნალო მასალის სიცოტავის გამო.

⁂ „ბირჟ. ვედ“. იუწყება, რომ ამ ჟამად შესდგა ახალი ინგლისელთა სააქციონერო საზოგადოება, რომელსაც ძირის თანხად აქვს 200,000 გირვანქა სტერლინგი. ეს საზოგადოება მალე შეუდგება ნავთის წარმოებას გურიისა და მაღელის მამულებში, რომელიც ოზურგეთის მაზრაში იმყოფება.

⁂ „რუსეთის უწყ.“-ს სწერენ, რომ რკინის გზის გასაყვანად ადგილების გამოკვლევა ნოვოროსიისკსა და სოჩს შუა ამ ჟამად დამთავრებულა. დამტკიცდა, რომ განზრახულ რკინის გზის გაყვანა შესაძლებელიაო. ამ ჟამად გამოკვლევა სწარმოებს სოჩიდგან სოხუმისაკენ. ეს გზა შესამჩნევად გამოაცოცხლებს დასავლეთ კავკასიის ვაჭრობას, წინ წასწევს მოსწველობას და მცხოვრებთა კეთილ-დღეობას.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა ამ დღეებში გამოაცხადა გზათა მინისტრის განკარგულება, რომ აუცილებლად შესრულებულ იქმნას „წესები რკინის გზის სადგურებზედ და მატარებლებში პაპიროსის მოწევის შესახებ“. ამასთან მატარებელთა რევიზორებს, სადგურის უფროსებს, მათს მოადგილეთ და აგრეთვე სამგზავრო მატარებელთა კონდუქტორებს წინადადება მიეცათ მიიღონ ყოველ გვარი ზომები, რათა ეს წესები არ იქნას დარღვეული არც მოსამსახურისა და არც მგზავრთაგან.

## წერილი სამურზაყანოდგან.

სამურზაყანო საქართველოს ერთი მივარდნილი კუთხეთაგანია, რომელსაც მზის სინათლე გვიან სწვდება, ასე რომ, სადაც ქართულს ასწავლიან, „ბუნების კარიდგან“ გაიგებს მოსწავლე, რომ სამურზაყანო საქართველოს ნაწილს შეადგენს, სადაც ქართველ ტომის ხალხი—მეგრელები, რიცხვით 40000, სცხოვრობს და ამის იქით... ნაკლებად ვიცნობთ სამურზაყანოს ეტნოგრაფიულად და ეკონომიურად. მაგრამ თუ არიან ამ საგნის სპეციალისტნი, დიდს სიძუნწეს იჩენენ და თავიანთ ცოდნას შავის დღისათვის ინახავენ.

აწინდელი სამურზაყანო შეადგენს სოხუმის სამხედრო ოლქის ნაწილს. ეს კუთხე 2400 ოთხკუთხი ვერსი იქმნება და შეიცავს 40,000 მეტს მცხოვრებს. სამურზაყანოს განაგებს ნაწილის უფროსი, რომელსაც ბინა დ. ოქუმში აქვს. სამურზაყანო ნაყოფიერი ქვეყანაა და ხე-ტყით მდიდარი, მაგრამ მკვიდრნი, საწყალნი, ბუნების სიმდიდრით ვერ სარგებლობენ, როგორც რიგია. ხელის განძრევა ეზარებათ და ღარიბად არიან. იმ დღიდგან ამ დღემდის, ე. ი. არას დროს სამურზაყანოს მკურნალი არა ჰყოლებია, არის ერთად ერთი ფერშალი და ისიც დიდის მოსვენებით ატარებს დღეებს ოქუმში. ამ რიგად ცრუ მორწმუნეობა, მკითხაობა და სოფლის ექიმობა გაბატონებულია სამურზაყანოში.

სამურზაყანოში გავრცელებულია პირუტყვის ქურდობა, რაიცა მშვიდობის მოყვარე ხალხს უზომო ზარალს აყენებს. მუშაობის დღეს გავსილია ოჩამჩირის სასამართლოს დარბაზი ხალხით; ზოგი მოწმეა და ზოგი დამნაშავე. მუშა დღეს ბევრი ყოვლად მართალი ოჯახის პატრონი ჰკარგავს, ხოლო ცხენის ქურდი 5—10 მანეთიან ცხენისთვის სრულიათაც იკარგება. 1897 წ. ახლად დანიშნულმა სამურზაყანოს ნაწილის უფროსმა ლ—იმ შეჰკრიბა ქურდობაში შენიშნულნი, ილორის წმინდა გიორგი დააფიცა, ხატი, რომელიც ძლიერად ითვლება მთელ სამურზაყანოსა და აფხაზეთში, ქურდობა არ ჩაედინათ, ქურდი არ დაემალათ და ქურდისთვის პატივი არ ეცათ. ეს საუკეთესო საშუალება გამოდგა ქორდობის წინააღმდეგ. ქურდობამ რამდენიმე ხნით მართლა მოიკლო, მაგრამ შემდეგ ქურდებმა მაინც იპოვნეს გზა; ერთმა გლეხმა ასე შემომჩივლა მე თითონ: „თუ გგონია ქურდობა მოისპო? მართალია, უფროსმა დაგვაფიცა ილორის წმინდი გიორგზე, მაგრამ ჩვენც მოვიგონეთ ხერხი: შემოდგომაზედ თითო თითოდ მივალთ და შესაწირავს მივართმევთ მის დიდებულ თავს და ასე ვეტყვით: დაგელოცა სამართალი! ხომ იცის შენმა კარგმა თავმა, რომ ჩვენ წმინდა გულით არ დაგვიფიცავს, შენთვის დამალული არა არის-რა; გწირავთ შესაწირავს და ჩვენ გაგვანთავისუფლევო“! ამას ყველაზე ძაბუნი გლეხი ამბობდა, და ადვილი მისახვედრია, თუ ვისგან გაიგონებდა იგი ამ სიტყვებს.

სამურზაყანოში არიან ქურდების დედები ანუ დამსახურებული ქურდები. ესენი უფრო კარგის გვარის შვილნი არიან. სამურზაყანოში, როგორც აფხაზეთში და ნაკლებად სამეგრელოში, ძიძა-შვილობა დიდად ფასდება. გაზრდილს დიდი გავლენა აქვს თავისს ძიძის შვილებზედ; ის მფარველია თავისი ძიძის შვილის მთელი გვარეულობისა. გლეხი ყოველ გაჭირვებაში ფიცულობს—ესადა ეს გაზდილი არ მომიკვდესო, ძიძიშვილებისთვის თავდადებულია; თუ ისინი ვინმემ გალანძღა, ის თავისს გალანძღვათ მიიჩნევს და მზად არის თავი გადაავოს. ამისთვის სამაგალითოდ ალაგმულია ლანძღვა-გინება და ყველანი ზრდილობით ექცევიან ერთმანეთს. სამაგიეროდ ძიძაშვილმაც უნდა გადაუხადოს თავისს სათაყვანო გაზრდილს: მზადაა ყოვლისფერში ემსახუროს, მაგ., თუ გაზრდილს სტუმარი ეწვია და საკლავი არა ჰყავს, ძიძაშვილი თითქმის მოვალეა, თუნდა ქვესკნელიდგან ამოიყვანოს, საკლავი იშოვნოს. ის მიდის სხვა სოფელში და იპარავს ძროხას ანუ ხარს! მერმეთ ვის ჰპარავს? რასაკვირველია დაბალ დობეს, გლეხს. ასეთი ამბავი ხშირია. ყოველ დღე ზოგი ხარს დაეძებს, ზოგი ცხენს, ზოგი კვალს მისდევს, ზოგი უფროსთან მირბის თავ-მოგლეჯილი. თუ რომელიმე ქურდი იგდო ხელში სამართალმა, ქურდის მომხმარენი შემოესევიან გარს და არაფერს ჰზოგავენ უშველონ რამე. რაღა თქმა უნდა, ხარჯს ითხოვს და ისედაც ღარიბი კაცი მთლად ღარიბდება. თუ მშვიდობით დაბრუნდა შინ, კვლავ ქურდობას უნდა მიჰყოს ხელი, რადგან შრომას გადაჩვეულია და მასთან სიღარიბე აწუხებს. ამ გვარად ქურდობა ხელობადაა გარდაქცეული. ციმბირი, საპყრობილე „სახელია“ ვაჟკაცისთვის, რადგან ქურდების დედების წამაქეზებელ ენით, სახლში ჯდომა დედაკაცის ხვედრია. რომელსამე ციმბირელს ოცჯერ მეტი თაყვანის მცემელი ჰყავს, ვიდრე კარგს მოძღვარს, ანუ სოფლისათვის თავდადებულ მასწავლებელს. ამ გვარად სამურზაყანო, რომელსაც სინათლე შორს უვლის, საწყალო მდგომარეობაშია. ხალხი უწყინარი, უჩივარი, ყველასაგან დაჯაბნებული. იმათის უწყინარობით სარგებლობენ ზოგიერთნი უსაქმო და გაიძვერები და მთელს საზოგადოებას სახელს უტეხენ.

დროა, სამურზაყანოს ყურადღება მიექცეს, მაგრამ უმჯობესია თითონ გაიღვიძოს მან, დაეწიოს თავისს ძმებს—სამეგრელოს, გურიას და სხ. დაუკვირდეს თავისს ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს. სამურზაყანოში ყოვლად უვარგისი გზებია. სოფლის მამასახლისად ირჩევენ გავლენიანი კაცები ისეთებს, როგორიც იმათთვის არის საჭირო.

დასასრულ ურიგო არ იქნება, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ თავისს მოწყალე თვალს გადმოავლებდეს სამურზაყანოს და წერა-კითხვის სამწავლებელს დააარსებდეს. მართალია, წყაროა საჭირო, მაგრამ წყაროს ამორჩენის დროს მხედველობაში უნდა ჰქონდეთ, რომ წ. კ. საზოგადოებას წევრებად ჰყავს სამურზაყანოს მკვიდრნი: თავადნი ანჩაბაძე, ჩქოტუა, აზ. მარღანია, აქირთავა და სხ., თავის ქვეყნის მოყვარულნი, რომელნიც, ცხადია, შემწეობას აღმოუჩენენ ამ სკოლას.

კ. გვასალია

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ბაკურციხე**, (სიღ. მაზრა). თითქმის ორი თვე სრულდება, რაც ჩვენს მაზრას ცვარი ნამი არ ჰღირსებია. როგორადაც სხვა სოფლები, აგრეთვე ბაკურციხელებიც დღეს სულ ამას უჩივიან და სწუხან. ოღონდაც რომ სამწუხაროა ასეთი გვალვიანი ზაფხული, ნამეტნავად ისეთ სოფლისათვის, რომელსაც სარწყავი წყალი არ მოეპოვება, როგორიც არის ბაკურციხე. თუ კიდევ ასე განვლო მეტმა ხანმა და ამ დღეებში არ მოვიდა წვიმა, სწორედ რო ამოიბუგება და მოიმუშება როგორც მიწის სხვა-და-სხვა მოსავალი, ისე კაზებისა, რომლებსაც უკვე ახმება ფოთლები და აჭკნება ყურძენი.

ვისაც ჩვენის სოფლის ავ-კარგი აინტერესებს, შეიძლება იკითხოს,—განა ცხენის ჯოგს თუ ღორის ხროვას? ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო, მეხი იმათაც ჩავათხლიშე ი ქეციან თავში და იმათ დღემოკლე ჰორებსაც, ძაღლის ყეფას და ენა ჰარტალა ჰორიკანას ღავლავს იმათივე ყადარი ძაღლი-ღორი უგდებს ყურს და არა ჰკვათა მყოფელი ადამიანი. მეორეც ეს: მთელ ქვეყანას მკითხავ-ქადაგები ათამაშებენ თავიანთ ჰკვაზე და აი ამ სათიბ-სამკლის დროსაც კი მკითხავის სიტყვით თავს ანებებს ხალხი ორის კვირით თავის მაცხოვრებელ ვენახ-სათიბ-სამკალსაც; განა ცოტა წლის მოსავალი ეღუპებათ ეგრე და მოცდენა და ათასი ხარჯები კიდე სხვაა, მაგრამ რა ქნან, მეტი რა ჩარა აქვთ, მკითხავი რო უბძანებთ: მავანი ხატი გიბარებთ და თუ არ ეახლებით, ჰირი და ნაცილი არ დაგელევათო. აი ამ დღეებში ჯერ მარტო ჩვენი სოფლიდამ, სულ ცოტა რო ვთქვათ, ერთი ორასი კომლი მაინც წავიდა და გაიხვეტა ჰიჰრიკონა ფარდაგ - ჯეჯიმებით გადაკამარებულ ურმებით ას ორმოცის ვერსის სავალზე, თელავის წმინდა გიორგში სალოცავად, მამა-სისხლად აღებულ ვალ-ვახჩით ნასყიდ ათასი ცხვარ-კურატ-მზვარა-საწირავებით, და განა დედაშენს კი ვერ მოარჯულებენ შენი გულის

---

ნაწრთობი მალხაზოს გულ გონება, იმისი ყველასთან რიხიანი და უშიშარი სიტყვა-პასუხი, ვაჟკაცურად დაგრეხილი, არსენასავით ულვაშები, დიდრონი, შავი კუპრივით თვალები და იმისი ბრგე, მხარ-ბეჭიანი წამოსადეგობა მთელი ქვეყნის სიმდიდრესაც მირჩევნია და სამოთხესაც, აი თუ სიმართლე გინდა გაიგო—ეს არი.

— არა, ქალო, არც მალაქოა დასაწუნარი შახედულობისა.

— დაიკარგოს იქიდააამ, მალაქოც კაცია-რა! რა ქაჯად მინდა აიგეთი ახლად წვერ-ულვაშ ამწვანებული ბიჭი, უგერგილო მჩვარი. თვალები კიდე როგორი ჰოღრონია ჰრელი აქვ, დაჰლახვრა ღმერთმა, გარეულ კატას უგავ, ხა-ხა ხა!.. რას ამობ დარო, რას, ჩემი თავიც მეჯავრება ქალაჰუნა, ქალმა ლომივით გულძლიერი, აფთარივით ანჩხლი, ბრძენივით ჰკვა-დამჯდარი, კამეჩივით შავი-ბრიალა თვალებიანი და არსენასავით ულვაშებ-გარდაგრეხილი ვაჟკაცი უნდა შაირთოს ქმრად, რო ცოლის ყადრი ჰქონდეს და ცოლსაც ალარაფრისა ეშინოდეს და ყველგან თავიც მოსწონდეს თავის ქმრით.

— მაშ რაღას უყურებ და არ დაინიშნები, იქნება დედა გიშლის?

— მეც მაგასა ვჩივი და ვტირი,—მწარე ამოოხვრით წამოსთქვა მალალომ.

— საქმე არა გაქვ, თუ შენ გინდა, დედას ვინღა ჰკითხავს ჩვენ დროში. —ანუგეშა დობილმა.

— არა, ქალო, ჩემი ბრალიც კია, ღვთის წინაშე რო ვთქვა: ორჯერ უარი შაუთვალე მალხაზოს იმისაგან ჩემთან საკუთრად მოგზავნილი მზეონას პირით.

— რათა, ქა, უარის შათვლით გულს რათ უკლამ, თუ კი მართლა გიყვარს.

— მიყვარს და მაგრე: რა დღესაც მე შორიდამ მაინც თვალს ვერსად გადავკრამ ხოლმე მალხაზოს—შენი არ იყოს—ის დღე ჩემთვის მტანჯავი ჯოჯოხეთია, მაგრამ რა ვიცი, ქა, რათ მამდის ეგრე. მეც ვერა გამიგია-რა ჩემი თავისა: გულს მალხაზო სწყურიან ძალზე და იმასთან ყოფნა ენატრება ცხადივთ თუ ძილში, მაგრამ ი დაჰლახვროს დედი ჩემის სალოცავმა, წყეული ჩემი ენა-პირისათვის კი „ჰო“ ვერ მითქმევინებია, ვერა და ვერა, სუ „არას“ იძახის მალხაზოსაგან გამოგზავნილ მზეონასთან, მიკვირს და გამკვირებია!..

— ეგრეა, ეგრე, მალალოიავ, ჯერ შენ კიდე გამოუცდელი ხარ და იმიტო გიკვირს, თორე ყველა ქალ მანდილოსნებს ემაგეთი განაზების ხუდრუგი გვჭირს და გვიყვარს მაშინაც კი, როცა ქმრის მკლავზე გძინავ. ალბათ თითონ ღმერთს დაუწესებია ეგრე ყველა სულდგმულებში... თუ მართლა ემაგრე ძალზე ძლიერად გიყვარს მალხაზო და კიდე უარს შაუთვლი, დაიღუპები, იცოდე.

— როგორ, რათ დავიღუპები?—გაფაციცებით შეეკითხა მალალო.

— რათ დაიღუპები და მათ დაიღუპები, ჩემო თვალის ჩინო, რო შენი უარით გულ-მოსული მალხაზო იფიქრებს: ალბათ სხვა უყვარს მალალოს ან არ მოვწონვარ, ან სიღარიბეზე მიწუნებსო, გულიდამ ამოგირეცხავს და დაინიშნება სხვაზე, ქვეყანაზე ათასობით მობხდარა ეგეთი საქმე: გულ-ნატკენი სიყვარული მალე სიძულვარედ გადიქცევა ხოლმე.

— მეც მაგაზე ვფიქრობდი წუხელის, მთელი ღამე ოხვრითა და ვიშით გავათენე. უწინამც დღე გამიქრეს, მალხაზო რო სხვაზე დაინიშნოს, თავს აღარ ვიცოცხლებ.

— ჰო-და, რახა მაგრეა, საქმეს ნუღა ახანებ, ნუღა, თორე ნათქვამია: ერთი ფეხით დაგვიანებას ადამიანი დაუღუპნია და მოუკლავ კიდეცო. დღესვე დაუძახე მზეონას და სუყველაფერი სიმართლით უამბე, ნუ შეგრცხვება და დაგეხათრება, როცა მალხაზოს უყვარხარ და შენც გიყვარს ფიქრი აღარაფრისაა. მალხაზო რო გაიგებს მზეონას პირით მალალოსაც ვუყვარებივარო, სიხარულით ცათა ფრინველს მოეკიდება დ უფრო ენით გამოუთქმელად შეუყვარდები.

— ეგ ყველა კარგი, დარო, მაგრამ დედა ჩემი რო ცივ უარზე დგა: მე ი სიღარიბის ვალებით გამოხრული მალხაზო არ მინდა სიძედ თავ-ცოცხლას და მალაქოს უნდა მიგცეო, რადგანაც მალაქოს ქონებისათვის კბილები უკაწკაწებს მშიერ ტურასავით და ჩემს გულს კი აღარასა ჰკითხავს. რამთენი შუაკაცი მოუგზავნა მალხაზომაც და იმისმა დედამაც, მაგრამ დედა ჩემმა ყველანი ამოპანღურა: მე იმას ქალს არ მიყცემო. და აბა რა ვქნა მე თვალდამდგარმა, ქვეყანაში თავი როგორ გამოვიჩენო და დედის უნებურად როგორ გავთხოვდე? დედის გულ-საკლავი წყევლა-ტირილი და შემოწყრომაც რო იქით იყოს, არ იცი, როგორ მაშინვე ყბათ ამიღებენ ჩვენი ჰორის გუდები და ცამდე ალალ-მართალს ლეჩაქ მოხდილს უნამუსოს დამიძახებენ.

— იჰ, მე ჰკვიანი მეგონე და უჭკუო ჰყოფილხარ, ქალო. როცა შენი გულ-საყვარელ კაცზე ჯვარს დაიწერ, ჰორის გუდებმა, რაც უნდათ, ის ატყაპუნონ, რას დაგაკლებენ: მინდორში ცხვრის ფარას დაგიფრთხობენ, ხარ-კამეჩის ნახირს,

სოფ. ბაკურციხეს არც წინად ჰქონია სარწყავი ადგილებიო?—დიაღაც რომ ჰქონიათ, ჩვენთა მამა-პაპათა დროს არა ერთ ადგილას უდენია მშვენიერ დიდ და ღონიერ მდინარეებს, რომლითაც არა თუ მარტო ბაღებს და ვენახებს ჰრწყავდნენ, არამედ შუა სოფელში წისქვილებსაც-კი აბრუნებდნენ, დღეს-კი არა თუ სარწყავად და წისქვილების დასაბრუნებლად, არამედ ხშირად დასალევადაც არა ჰყოფნით, ისე საცოდავად მოწანწკარებს აქა-იქ და ხან ისიც დაშრება ხოლმე, და შეჰყურებენ განგებას, აცა როდის დაიწყებს წანწკარსაო. და ამ. ყოვლად დიდ მნიშვნელობიან საგანს, როგორიც წყალია, ისე გულგრილად შეჰყურებენ, თითქოს ისეთი უმნიშვნელო იყოს, რომ იმის შესახებ ლაპარაკიც არა ღირდეს.

არა ნაკლებ საყურადღებოა ბაკურციხელებთათვის მათი საერთო ტყეების უწეს-უწყობოდ სარგებლობის საქმე, რომლის შესახებ არა ერთხელ ყოფილა მათ შორის ბჭობა-ბაასი და უკმაყოფილებაც, მაგრამ დღემდის ვერ მოუხერხებიათ ისე მოეწყოთ საქმე, რომ ამ ტყეებიდგან ყველას ზომიერად და კანონიერად ესარგებლნათ, რომ არსებულ უწესოებას და უსიამოვნებას ბოლო მოჰღებოდა.

ჩვენს სოფელში არის ფოსტის განყოფილება, სადაც კვირაში ორჯელ მოდის უბრალო წერილები და გაზეთები და აგრეთვე ორჯელვე იგზავნება აქედგან წერილები. თითო წერილის მიმღებს ერთმევა აქაურ ფოსტის მოიჯარადრის სასარგებლოდ 3 კაპ. და გაზეთისა-კი თვეში შაური. ჩვენ სამი რამ გვაკვირვებს ამ ფოსტის არსებობის შესახებ: ერთი ისა, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობამ თუ-კი დააარსა ასეთი განყოფილება ბაკურციხეში, რაღასათვის ერთმევათ წერილების მიმღებთ მოიჯარადრის სასარგებლოდ ფული?! მეორეც ესა, რომ ტფილისიდგან სიღნაღში თუ-კი ყოველ დღე მოდის ფოსტა, რატომ ამ 15 ვერსის მანძილზედ-კი არ ჩამოაქვთ ყოველ დღე? მესამე ისა, რომ მადლისთვის მარილიც უნდა მოეყარათ, და რაკი უბრალო წერილებს იღებენ, ბარემ დაზღვეულ წერილებისა და ამანათების მიღებასაც იკისრებდნენ, როგორადაც ეს ზოგან სხვა სოფლებშია შემოღებული.

წელს საზოგადოდ პურის მოსავალი მალიან ნაკლებია. დამჯდარ მნებს კიდევ თვალი ჰქონდა, მაგრამ როცა ილეწება, სრულიად არა აქვს გამოსავალი: კვლავ რომ თითო ათეულს კოდი გამოსდიოდა, წელს კოდის მაგივრად 4—5 ლიტრაც მლივს და დგება.

ბაკურციხელი

---

# უცხოეთი

**კრიტი.** რამდენიმე გაზეთის სიტყვით, ის წინადადება, რომ თავის ნებით წასულ მაჰმადიანების მიერ დატოვებულ ადგილ-მამულზე სომხები დაასახლონ კრიტშიო, თანაგრძნობას ვერ ჰპოულობს ვერც საბერძნეთში და ვერც კრიტში. როგორც ათინიდგან იუწყებიან, ამ საგნის შესახებ გულდასმული მსჯელობა უფრო ჟურნალ-გაზეთებს ჰქონიათ, ვიდრე სხვას ვისმეს. როგორც ათინაში, ისე კრიტში უფრო ის პროექტი მოსწონთ თურმე, რომ მაჰმადიანების დატოვებულ ადგილებზე იტალიელები დაასახლონ.

---

**ესპანია.** ფინანსიურ კრიზისის გამო, იმ თანხიდგან, რომელიც სამეფო სასახლის შესანახად არის გადადებული ყოველ წლობით, ერთ მილიონ პეზეტის (პეზეტი 23 კაპ.) მიღებაზედ ესპანიის დედოფალმა უარი განაცხადა. მაგრამ დედოფლის ასეთმა სულგრძელმა საქციელმა თითქმის არავინ არ დააკმაყოფილა ესპანიაში. რესპუბლიკელები და კარლისტები, რომელთაც მრავალი ლიბერალი მიემხრო, თხოულობენ, რომ სასახლის შესანახი ხარჯი კანონმდებლობითი წესით უნდა შემცირდესო. სასახლის შესანახად ეხლა იხარჯება 20 მილიონი პეზეტი, რომლისგანაც კარგა დიდი ნაწილი ჯამაგირად ეძლევა სხვა-და-სხვა მოხელეს. ამ უკანასკნელთაგან ბევრს რამდენადმე მნიშვნელობა მაშინ კიდევ ჰქონდა, როცა ახალშენების პატრონი იყო ესპანია, მაგრამ ეხლა, როცა ახალშენებიც დაჰკარგა და ამის გამო სააახალშენო სამინისტროც გაუქმდა, ხსენებულ მოხელეების არსებობა და მათთვის ჯამაგირის მიცემა ყოველსავე ლოღიკას მოკლებულია. ოპოზიცია თხოულობს, სასახლის შესანახ თანხას 5 მილიონი დააკლდესო. დედოფლის მიერ ერთ მილიონ პეზეტზე უარის თქმამ ისინი ვერ დააკმაყოფილა, რადგან, ერთი რომ სახელმწიფოს დონისძიება არა აქვს და მეორეც, ეს მოწყალება მხოლოდ მიმდინარე წელიწადს შეეხება და ეხლანდელ ფინანსიურ კრიზისს მაინც ვერ გადაარჩენს.

---

**ოსმალეთი.** სომხეთა ეროვნულ კომიტეტს ადრესი შეუდგენია, რომელიც საჩივარს წარმოადგენდა სომხების მხრივ სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედების შესახებ. ეს ადრესი სომხეთა პატრიარქის ორმანიანის ხელით ხონთქრისათვის უნდა მიერთმია კომიტეტს. მაგრამ ეს ამბავი გაგეთ ილდიზ-კიოსკში და გარდაეწყვიტათ, რომ ნუ მოგვართმევინებთ ადრესსო. პატრიარქი და სომხეთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე არტინ-ფაშა სასახლეში მიეწვიათ, სადაც თათბირი ჰქონდათ რამდენისამე საათის განმავლობაში. სასახლეში გადაჭრით განუცხადებიათ, რომ სიმართლეს მოკლებულია ადრესის ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ მაისში მუშის ხანჯაქში ქურთებმა დაარბიეს სომხებიო. ამასთანავე ოსმალებს საბუთად მოუყვანიათ ინგლისის კონსულის მოხსენება, რომელიც გაიდგან წასულა ბითლისსა და მუშში უწესოების შესახებ ცნობების შესაკრებად. სომხების პატრიარქის მიერ მიღებული ცნობები უწესოების შესახებ სარწმუნოდ არ უცვნიათ სასახლეში, რადგან ინგლისის პარლამენტში მთავრობას განუცხადებია, რომ არავითარი ცნობა არ მიგვიღია იმ სომხების დასამტკიცებლად, ვითომც ქურთებს სომხის სოფლები აეოხრებინოთო. სასახლეში უცნობებიათ პატრიარქისთვის, რომ ხონთქარი ირადეს გამოსცემს იმის შესახებ, რომ პატრიარქის უმთავრესი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულ იქმნესო. ირადე მართლაც გამოუცია ხონთქარს, და ამის გამო სომხეთა ეროვნულ კომიტეტს გარდაუწყვეტია ადრესი არ მიართვას, სანამ არ გამოირკვევა ირადეს შინაარსი.

---

**ჩინეთი.** ჩინეთის იმპერატრიცა სწავლობს თურმე ამ ჟამად ჩინეთის გამოჩენილ რეფორმატორის კანგ-იუ-ვეის თხზულებას. როგორც ამბობენ, იმპერატრიცა ძლიერ გატაცნია ამ თხზულებას. ბევრნი ასე ჰფიქრობენ, რომ პეკინში თანდათან რწმუნდებიან, რომ საჭიროა სულ ერთიან შეიცვალოს ეხლანდელი წეს-რიგი მართვა-გამგეობისაო. იაპონელები მეტის მეტად გულმოდგინედ მეცადინეობენ თურმე, რომ იმპერატრიცის ავტორიტეტს ძირი გამოუთხარონ და რამდენიმე ნიშანიც ყოფილა ამისი, რომ იმპერატორი ისევ დაუბრუნდეს ქვეყნის გამგეობის საქმეს.

---

# დამავიწყდა

მარწყვი კარგი მორწყე, მერე კაჭარს მიურწყე, და გინდ თითონ ინერწყე.

ლასურიძე

***

მოყვარე დასტური იგი არს, რომელი ჟამსა სლვისა, გლახაკობისა და შორისა შინათა მდგომი იყოს.

ფილოსოფ. პლატონ

***

ტანჯვა სიმშვიდით მტთომი იგი უფროს და ნუ გულისწყრომით.

საეკკლ. მუზ. № 153

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

პარიჟის გამოფენისათვის ხუროთ-მოძღვარს სან-სბეფს მოუმზადებია ერთი მეტად უზარ-მაზარი ბოჭკა. ბოჭკაში 4,200 გეკტოლიტრი ლუდი ეტევა. იწონის ბოჭკა 150,000 კილოგრამმას. დღემდის უდიდეს ბოჭკად ის ითვლებოდა, რომელიც გეიდელბერგშია და რომელშიაც მხოლოდ 236 გეკტოლიტრი ლუდი ეტევა. როგორც ჰხედავთ ამ ბოჭკას ახალმა ბევრით გადააჭარბა.

***

ამას წინად ვწერდით, რომ გერმნეში რკინის გზაზედ სამი მატარებელი გადავარდა ლიანდაგიდგან, ვაგონები დაიმსხვრა და რამდენიმე კაციც დაიღუპაო. ეხლა, როგორც გაზეთები იუწყებიან, რკინის გზის გამგეობას მოკლულთა მემკვიდრეები დაუჯილდოვებია და თითო მოკლულ კაცში 200,000 მარკა მიუცია, ხოლო თითო დაჭრილისათვის 40,000-დგან 120,000 მარკამდე, იმისდა მიხედვით, მძიმედ არის დაჭრილი, თუ არა.

***

ამ ბოლოს დროს სხვებთან ერთად ინგლისელმა არისტოკრატებმაც მიჰყვეს ხელი ვაჭრობას, საზოგადოდ შრომასა და მუშაობას. ლორდს ლონდონდერს, მაგალითად, საკუთარი სამანუფაქტურო მაღაზია აქვს, მარკიზმა ბუშმა ღვინის სარდაფი გამართა და ღვინოსა ჰყიდის, ლორდი სედნეი შეკერილ ტანისამოსით ვაჭრობს, ლორდ გარრინგტონს ყვავილების მაღაზია აქვს, ლორდმა ნორმანლიმ დააარსა ბავშვებისათვის სკოლა, რომელსაც თვითვე ხელმძღვანელობს, ლორდი ვარე რამდენისამე სასტუმროს პატრონია, მარკიზა ვარვინის (ქალია) ტანისამოსის საკერავი მაღაზია აქვს, ლორდი ბურტონი რესტორანის პატრონია, ლორდები ტარგაური, რეველსტონი და ვოლვერტონი ბანკირები არიან, ლორდი გლენესკო ჟურნალის გამომცემელია და ლორდს ასტონს ხალიჩების ფაბრიკა აქვს.

***

პარიჟის მკურნალები ძალიან დაინტერესებულნი არიან ერთის ქალის მდგომარეობით, რომელსაც გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს. თითქმის 16 წელიწადია, რაც ამ ქალს, გვარად მარგარიტა ბოინვალს, გამუდმებით სძინავს. ბოინვალის დედ-მამა ლოთები იყვნენ, თვით ქალსაც ადრე გამოაჩნდა ისტერიკული ავადმყოფობანი. 19 წლისა იყო, როდესაც ისტერიკა დაემართა და დაეძინა; მას შემდეგ აღარ გაუღვიძნია და შეიძლება არც-კი გაიღვიძოს როდისმე. მძინარე ქალს მკურნალები ხელოვნურად ჰკვებავენ.

***

---

ნებაზე დასაყოლიებლად ი მეოინბაზე მკითხავები თაკიანთ სარფისათვინ-რა. ამაზე ადვილი რაღაა შე ქრისტიანო!..

— როგო, ქალო, აბა რა ნაირად? მოუთმენლობის გაფაციცებით შეეკითხა მალალო.

— როგო და აიგრე, თავი მაიავადმყოფე, გულის ღონება მაიგონე და ჩალოგინდი. მე თითონ წავალ მაშინვე ჩვენ ჯვრიან მკითხავ ნაირასთან და ვეტყვი: აბა, ეგრე-ეგრე საქმეა, შენი პატივის ცემისა ჩეენ ვიცით, და მალალოს დედა რო მოვიდეს შენთან, უთხარ: რადგანაც შენს ქალს მალალოსა და მალხაზო ვალვახჩისშვილს ერთმანეთი ჰყვარებიათ და შენ მალხაზო არა გდომებია სიძედ, ამის მიზეზით სიყვარულის გულ-ყრა დასჩემებია შენს ქალს, და თუ ეხლა მაინც მალხაზოს არ მიათხოვებ, ქალიც დაგიქ-ლექდება და შენც სულიან-ხორციანად დაიტანჯები საიქაოსაც და საიქაოსაც-თქო. ეტყვის ამას და მორჩა და გათავდა, ჰირი იქა და ლხინი აქვე, ქატო იქა და ფქვილი აქვე. არ გაივლის ერთი თვეც, რო თითონ დედა-შენივე მოგიმართავს ხელს და მალხაზოს მიგცემს. მალალო, შენ უყურე ჩვენს ნაირა მკითხავს, დედა შენი რო მივა, როგო მაშინვე კადღგათ დაეცემა, ჯოჯოხეთის ტარტაროზივით მოაყოლებს წარამარა ტარტარს ეშმაკური სახე-თვალების მანჭვა-პრანჭვით, და ბოლოს-ბოლოს როცა გულს მოიოხებს ქაჯური ტარტარით, მაშინ კი გაუმჟღავნებს, ქალო, დედა-შენს თავისებურად, მოზარის ხმა-მაღალი მოთქმა-ტირილის აი ეგეთ გაჭიანურებულ კილოზე ამისთანა სიტყვებს: იიი, ქრისტიანო რათ ჩამდგარხარ ორი სულის ცოდვაშიიი, მალალოსა და მალხაზოს ერთმანეთი ჰყვარებიათ და შენ კი მალალო მალაქოსათვინ მისაცემად გდომებიააა; ჩამოხე, მარეხო, ჩამოხე ეშმაკის უბელო და ულაგმო ცხენიდააამ, თუ გინდა რო ქალიც მოგირჩეს და ღმერთმაც გაპატიოს შენი სიკერპე-უჯათობააა, სახლში მისვლის უმალვე ანაგის მთავარ-ანგელოზისათვინ სავედრებელი შანა-საწირავები შამოავლე შენ ქალს, თეთრი ლეკორტის კაბაც შაუკერე, წითელი სუდარის მოსახვევიც მოახვივე და ღამის სათევათაც წაიყვანეეე; გულზე ხელებ-გადაჯვარედინებულმა და მუხლის კვრებზე დაჩოქებულმა სამჯერ სამების ძალზე ტაძარს გარშამო შამოუარე ბობლით და ცრემლით შეევედრეეე: თაქ მომირჩინე ჩემი დედისერთა, დახატული მალალო შენი მადლისა და სახელის ჭირიმე მთავარ-ანგელოზის მადლო და ძალო და ღირსიც არა ვარ მალხაზოს დასიძეებისა—თქო!

— იი, ამოგაგდოს ღმერთმა, დარიკო, ამოგაგდოს, კაი ტრიატის მოჩვენება შენა ხარ!—წამოიძახა მალალომ, რომელიც სიცილით იჭაჭებოდა ნაირა მკითხავის მშვენივრად მბაძავ დარიკოს სასაცილო მოთქმა-ტირილზე და სახე-თვალების ვაგლახად მანჭვა-გრეხაზე.

— შენ უყურე მემრე დედაშენს როგო ათრახჩაანთ ტარყაულას ტარაბუასავით დატრიალდება და მესამე დღესვე ვენაცვალე იმის მადლსა და დიდებულობას—მთავარ ანგელოზის ეზოში ამოგაყოფინებს თავს იორდანეს ორცხენიანი კაჭკით. ჰაი გიდი-ჰა, შე დასაქცეო მალალო, შენც კი თავ მომკვდანურებულ ნაბია, ნამილოკია კურდღელივით წამოაჰყუტავ მა ყველიპარია კატასავით ზიმზიმა თვალებს მეორე დილით ღამე ნათევი და ულონო კნასი-კნუსით წამოილულლულებ: ეხლა პატა კარგა ვარ, დედიო, და თვალცრემლიანი დედაც სიხარულით გადაგეხვევა, სიყვარულით გადაგკოცნის ქვეშაგებში მწოლიარეს და ალერსიანად გეტყვის: თაქ შე კარგა იყავ, შვილო, დედა გენაცვალოს და თავს შემეგევლოს და მალხაზო კი არა, რა მენაღვლება, თუნდა ასტრაბეთელი ატოცის გლახა შაირთე, მე აღარ დაგიშლი, გენაცვალეო! ნეტავი მეც იქა მქნა მაშინ, რეერთს ვიცინებდი მალვით-უჩუმრა, შე სახელ გასაწყვეტო მუზმუზელავ!..

— მართლა! ეგ რა კარგი მაიგონე, შენი ჭირიმე, დარო, დარიკო!.. ამ სიტყვებით გადაკოცნა დობილი სიხარულით ფეხზე წამომხტარმა მალალომ.

— მა ცუდს მოვიგონებდი შენთვინ-რა. აკი წელანაც გითხარ: დღეს ქვეყანას მკითხავ-ქადაგები ათამაშებენ თავიანთ ჭკვაზე, და რასაც ჩვენი გლეხი-ადამიანი მკითხავს დაუჯერებს, იმას ზეციდამ ჩამოსულ მამა უფალსაც არ მოუსმენს და არ გაუგონებს. ბევრი ლაპარაკი და კოსე-კოსე რაღა საჭიროა, შენი საქმეც ჩემი ნიკოს ნამგალივით გაჩარხულია: შენი ლოგინად ჩავარდნა, ჩემი მკითხავთან გაქანება, დედი-შენის მორჯულება და შენი მალხაზოზე დანიშვნა და პროშტი ერთი იქმნება. ეს კია, რო ნაირა მკითხავიც ჯერაც ისევ თელეთშია და ორიოდე დღეს კიდევ მოიგვიანებს. ან კი რატომაც არ მოიგვიანებს, თურმე როცა მივა ხოლმე იქ, ტერაცუები დიდის ამბით უხვდებიან, მოფარდაგ-ხალიჩულ ოთახში აყენებენ, და ბოლოს ბლომა საჩუქრებითაც ისტუმრებენ, რადგანაც ჯვრიანი ნაირა მთელ კახეთ-ქიზიყში განთქმული მკითხავია და ნაირას გაგზავნილ უანგარიშო მლოცავებისაგან ზღვისოდენა შეძინება ჰქონიათ. ბაზაზებმაც ეგრე იციან: რომელი დოლალი დედაკაციც მეტ მუშტარს მიჰგვრით სხვა და სხვა სოფლებიდამ, იმას უფრო გულუხვად ასაჩუქრებენ. ეხლა კი დროა მეც ავდგე, მალალო ქალო, და სახლს მივხედო. გონია ეხლა ჩვენი ლოლო შეჭამანდი ჯოჯოხეთის ახტალასავით ტაყტაყებს ცეცხლზედ და ყიან გაბრაზებული მეძახის: „მოშავდი, დარო, მოშავდი და პატა წყალი დამასხი შე გასაწყალებელო და გასაღვარებელო ჭიჭინავ, თორე თვალებს დაგიყენებ, ხავიწივით მოვიპრუწები, ავიმელები, ავილანძები და მიგცემ დედი-შენის ნარ-ცეცხლიან ენა-პირსაო“.

დარომ რაღაცა წაჰჩურჩულა ყურში მალალოს, ორთავ მაღალის სიცილ ხარხარით გადიკასკასეს გულიანად და გაჰშორდნენ ერთმანეთს. მალე სიტყვა-სიტყვით აცხადდა დაროს ყოველივე წინასწარ-მეტყველება და სამის კვირის შემდეგ მალხაზო გაზაფხულის მრავალფერად აყვავებულ მთა-ველ-მინდორსავით ტურფა-მშვენიერ მალალოზედ დაინიშნა.

დ. მაჩხანელი

ლეიპციგში ამას წინად ერთ ქალს ტყუპი შვილი ეყოლა. ერთ ღამეს რაღაც უცნაური ხმაურობა მოესმა. ქალი წამოხტა, აკვნებისაკენ გაეშურა და საზარელი სურათი კი წარმოუდგა თვალ-წინ. შინაურ კატას დაეღრჩო ერთი ბავშვი, ხოლო მეორისათვის ცხვირი და ერთი ხელი მოეკვნიტა. ამ ამბის გამოქვეყნებისათანავე გაზეთებში ლეიპციგელი მანდილოსანნი ისე დაშინდნენ, რომ რაც სახლში კატები ჰყავდათ, სულ გაწყვიტეს და გარეკეს.

* * *

ამას წინად ნიუ-იორკის შტატის ონანდაგოს ოლქის სამკურნალო საბჭოს თავისს პრეზიდენტად აურჩევია მკურნალი ქალი ვინმე მარგარიტა სტანტონი. სტანტონს უმაღლესი სამკურნალო განათლება ამერიკაში მიუღია, შემდეგ ვენის, პარიჟის და ლონდონის კლინიკებსა და საავადმყოფოებში უმუშავნია. ამერიკაში დაბრუნებისას ხსენებულ საბჭოში დაუწყვია მუშაობა. ჯერ ვიცე-პრეზიდენტად აურჩევიათ და ეხლა კიდევ მთელის ოლქის სამკურნალო ნაწილის პრეზიდენტად.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 ივლისი.

**პეტერბურგი.** 14 ივლისს პეტრე-პავლეს ტაძარში დაასაფლავეს ცხედარი ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის და დიდის მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძისა. $10^1/_2$ საათ. ეკლესიაში შეიკრიბნენ სასახლის მოხელენი, სადიპლომატო კორპუსის წარმომადგენელნი, სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა წარჩინებულნი. 11 საათზედ ტაძრში მობრძანდნენ: ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე, სამეფო გვარეულობის ყველა წევრი, დანიის პრინცი ვალდემარი, დანიის მეზღვაურთა დეპუტაცია, მხედრობის ყველა ნაწილის დეპუტაციები, საცა-კი ღვთივ განსვენებულ ცესარევიჩი შეფათ იყო ანუ სიაში ირიცხებოდა. მიტროპოლიტმა ანტონიმ წირვა გარდაიხადა და განსვენებულს წესი აუგო. წესის აგების შემდეგ, ხელმწიფე იმპერატორმა და სამეფო გვარეულობის წევრებმა, ასწიეს-რა კუბო, სასაფლაოსთან მიიტანეს. მას შემდეგ, რაკი მათმა უდიდებულესობამ და მათმა უმაღლესობამ კუბოს ქვიშა მიაყარეს, სასაფლაო ამოავსეს. ნაშუადღევის 1 საათ. 20 წუთ. მათი უდიდებულესობა და მათი უმაღლესობა პეტრე-პავლეს ციხიდგან წაბრძანდნენ.

**პარიჟი.** ნაციონალისტების გაზეთები წინააღმდეგობას აცხადებენ პელიეს გადაყვანისა და ნერგიეს დასჯის გამო; ამბობენ, რომ რენის სამხედრო სასამართლოს შესაშინებლად ჩაიდინა ეს მთავრობამო. ის გაზეთები, რომელნიც დრეიფუსის საქმის გადასინჯვის მომხრე არიან, ულოცვენ მთავრობას ასეთ გარდაწყვეტილებას, რომელიც იძულებულ ჰყოფს აფიცრებს ანუ პატივი სცენ სამხედრო მოვალეობას და კონსტიტუციას ანუ უნდა გამოეთხოვონ კარიერას.

„Goulois“ ამბობს, რომ სამხედრო მინისტრმა პასუხი მოსთხოვა ნეგრიეს იმ წერილის გამო, რომელიც მან ლუბეს გაუგზავნა, და რომელშიაც გენერალი თხოულობდა, მხედრობას პატივი სცენო. ვითომც ნეგრიეს ეპასუხებინოს, რომ ეს წერილი უფლების აღმატებას არ მოასწავებდაო.

„Figaro“-ს სიტყვით, ვითომ ნეგრიეს ეთქვას, რომ მთავრობა თუ არ ამოიღებს ხმას, უმაღლესი სამხედრო საბჭო იხმარს ღონისძიებასაო.

**პარიჟი.** მეორე გამოძიებამ, რომელიც გენერალმა ბრიუჟერმა მოახდინა პელიეს შესახებ, ისეთი ახალი ვერა აღმოჩინა-რა, რომელიც პატიოსნებას ანუ დისციპლინას შეეხებოდეს. ამის მიუხედავად, ბრიუჟერმა საჭიროდ სცნო, რომ, ეხლანდელ ვითარების გამო, პელიეს არ შეჰფერის პარიჟში სამსახურიო.

**მონტელიმარი.** ლუბე მოვიდა აქ და მარსანში წავიდა დედის სანახავად. ხვალ პრეზიდენტი მონტელიმარში დაბრუნდება.

**ცეტინიე.** პრინცესა იუტა დედით და ძმით მოვიდა ანტივარში და მაშინვე ზარბაზნების სროლით მიეგებნენ მათ. კნიაჟიჩები დანილო და მირკო და დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მათ დასახვედრად წავიდნენ. სადედოფლოს მიართვეს პურ-მარილი. სერები მშვენივრად არის გაჩირაღდნებული. პრინცესა როცა ნაპირზე მოვიდა, ხალხმა ავაცია გაუმართა მას. სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა წევრნი წარსდგნენ მის წინაშე. პრინცესას მოსვლა ცეტინიეში ხალხს ამცნეს 21 ზარბაზნის სროლით. ქალაქში დიდი აღტაცებაა. სასახლეში სადღესასწაულო სადილი გაიმართა.

15 ივლისი

**ბუქარესტი.** მემკვიდრე ცესარევიჩის გვამის დასაფლავების გამო გარდახდილ იქმნა პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ: რუსეთის ელჩი, საელჩოს წევრები, საბჭოს პრეზიდენტები, მინისტრები, მოხელენი და აფიცრები.

**კონსტანტინეპოლი.** რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი მემკვიდრე ცესარევიჩის გვამის დასაფლავების გამო. დაესწრნენ სადიპლომატო კორპუსის წევრები, სულთანის დელეგატები და სხვანა.

**პარიჟი.** პროფესორი ვოლტერის ლიცეისა ვეილი, რომელიც თავისს მოსწავლეთ დრეიფუსის უდანაშაულობას უმტკიცებდა, დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან.

**კონსტანტინეპოლი.** ეპისკოპოსი ცეზარეი ემანუელიანი არჩეულ იქმნა სომეხ-კათოლიკეთა ეპისკოპოსად. პაპიმ დაამტკიცა ეს არჩევანები.

**კაპ გაიტი.** ხმა დადის, რომ კაპის რესპუბლიკის პრეზიდენტი ერე მოკაში მოკლესო. სრული მშვიდობიანობაა.

## წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ მე-124 №-ში იყო დასტამბული ბ-ნ სტეფანე ნოზაძის წერილი. იგი შეეხებოდე დაბა ხაშურში 23 მაისს გამართულ წარმოდგენას, რომლის შემოსავალი იყო დანიშნული მცხეთის ტაძრის განსაახლებელ თანხისთვის. ამ წერილით ბ-ნი ნოზაძე ანგარიშსა სთხოვდა წარმოდგენის გამგეს ბ-ნ იოსებ კვალიევს.

„ივერიის“ მე136 №-ში წავიკითხე კვალიევის ვითომ-და „ანგარიში“, მაგრამ რა ანგარიშია ეს „ანგარიში“, რომელსაც არც თავი უჩანს და არც ბოლო! სწერია,—რომ ხარჯს-გარდა ერთი თუმანი დარჩაო. როგორც თითონ ბ-ნ კვალიევს უნებებია თავისს ჰერს ქვეშ, ისე უანგარიშნია. ხოლო რაც ჩვენ ვიცით და ვეკითხებით, ან რაც გაზეთით უკიჟინა ბ-ნმა ნოზაძემ, იმისას-კი სდუმს. ერთის სიტყვით, რაც თითონ არა ჰნებებია, არც გასაგონი გაუგონია და არც დასანახავი დაუნახავს. იგი თავისს „ანგარიშში“ ლიტონის სიტყვით გაიძახის: „39 მანეთი შემოვიდაო“. რატომ იმას-კი არ ამბობს,—საიდგან და რისაგან. შემოვიდა მხოლოდ 39 მანეთი და არა მეტი? რად მოიყრუა ყური იმ 45 მანეთის შესახებ, რომელიც, ვ. ანანიევის სიტყვის თანახმად, წარმოდგენისავე საღამოს შემოვიდა კასსაში. ამ 45 მანეთის გარდა, ისიც ვიგულისხმოთ, რომ ბ-ნი კვალიევი სამის კვირის განმავლობაში ჰყიდდა ბილეთებს; ამასთანავე გავიხსენოთ, რომ ბ-ნი კვალიევი თითონვე გვპირდებოდა: „თუ გამგეთ ამირჩევთ, მე ვიცი რამდენ ბილეთსაც გავყიდი რკინის გზის დეპოს მუშებ შორისო“. ჩვენც რადგან ვიცოდით, რომ ბ-ნ კვალიევს მართლაც დიდი გავლენა ჰქონდა დეპოს მუშებზედ, როგორც თავისს ხელ-ქვეითებზედ, გადავეცით ანგარიშით 120 ბილეთი და ისიც შეუდგა ბილეთების გაყიდვას. ერთის კვირის შემდეგ ბ-ნ კვალიევს მოვთხოვეთ გაყიდულ ბილეთების ფული, რადგან უნდა გაგვეგზავნა ტფილისელ სცენის მოყვარეთათვის სამგზავროდ. კვალიევმა სთქვა: „მე ჯერ-ჯერობით მხოლოდ ცხრა მანეთის ბილეთები გავყიდე, რადგან დეპოს მუშებს ჯამაგირი არ მიუღიათო, და ეს ცხრა მანეთი უკვე გავატანე ბ-ნ გელიკურაშვილს ამავე საგნისათვისაო“. თუმცა ამდენი ფული ოთხის ადამიანისათვის (გელიკურაშვილი, ჯაფარიძე და ორი ქალი: ქ. რჩეულოვისა და ქ. ვაშაკიძისა) საგზაო ბილეთის ფულად ბევრი იყო, მაგრამ არა გვითქვამს-რა, რადგან ისინი უსასყიდლოდ გამოდიოდნენ სცენაზე. მერმე-კი გავიგეთ, რომ ცხრა მანეთი-კი არა, მხოლოდ 4 მანეთი გაეტანებინა გელიკურაშვილისათვის. დეპოს მუშების ჯამაგირის მიღებისათანავე შეუდგა კვალიევი ბილეთების გაყიდვას მუშებ შორის. ვისაც ჰსურდა და არა ჰსურდა, დრო ჰქონდა წარმოდგენაზედ დასწრებისა, თუ არა, ყველასთვის მიუჩეჩებია ბილეთები და ფულიც იქვე გამოურთმევია. იმ მუშებთაგანნი ბევრნი არც-კი დასწრებიან წარმოდგენას მოუცალებლობის გამო. გარდა ამისა, ისიც ვიცით, რომ გასასყიდი ბილეთები გადაუცია სხვა და სხვა კაცთათვის. ამ გვარად გადაცემულ ბილეთების ფული, ვიცით, ჩაიბარა: ბ-ნ მურვანიშვილისაგან 8 მ., ბ-ნ ვ. თურმანიძისაგან—4 მ., ბ-ნ შატბერაშვილისაგან—1 მ. 20 კ., ტერ-აკოფოვისაგან—4 მ. 60 კ. ამათ გარდა ვიცით, სხვებთანაც აქონდა გადაცემული გასასყიდი ბილეთები, მაგრამ მხოლოდ არ ვიცით, ვისგან რამდენი ფული ჩაიბარა და ვისზე რა დარჩა. ის-კი კარგად ვიცით, რომ ბ-ნ გამგეს ხალხში უძახნია: რაღა ფული დარჩებოდა, როცა ბილეთების ფული ნისიად დარჩა გაცემულიო (იხილეთ გაზეთი „ცნობის ფურცელი“ № 835). ეს თუ გნებავთ ასეც იყო, ბილეთები ნისიად გაუცია(!), მაგრამ რატომ თავისს ანგარიშში არ აცხადებს: რა ჰქნა შემდეგ, ამოიგო ის ნისია, თუ ისევ სხვებზეა დარჩენილი? ან რად მოუყრუა ყური ბ-ნ ნოზაძის შენიშვნას: „...სცენის მოყვარეთა კრებისაგან ანგარიშით ჩაბარებული 120 ბილეთი აღარ უკმარებია და თავისთვის სადღაც შინაური ბილეთებიც ზედმეტად დაუბეჭდინებია და გაუყიდნიაო“. მართლაც, საკვირველია, როცა ჩვენი ბილეთები საკმარისი იყო, რად უნდოდა თავისი შინაური ბილეთები?!

ადგილობრივნი სცენის მოყვარენი: ალ. ბებურიშვილი, დარისპან სარალიძე, იოსებ მირზაშვილი, სიმონ ბაბლიძე



# განცხადებანი

**პეტერბურგის სამკურნალო გამგეობის** ნება-დართვით ისყიდება პროვიზორის შიხინოვისაგან გამოგონილი

ახალი მარგებელი სასმელი ყავა

ტფილისსა, გორსა, განჯასა, გუმბრსა, ქუთაისსა, ბათუმსა, ფოთსა და სხვა ქალაქების ყველა საუკეთესო მაღაზიებში. (10—ნ.—5)



# ანგარიში

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

1 ივლისისათვის 1899 წლისა.

**აქტივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) . . | 6723 | 07 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში . . . . . . . . . . . . | 1750 | — |
| III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში . . . . . . . . . | 44110 | — |
| IV. სარგებლიანი ქაღ., საზოგადოების საკუთვნონი. | 3099 | 25 |
| V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი . . . . . . . . . | 3021 | 63 |
| VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს. უწერია ხელი . . . . . . . . . . . | 217385 | — |
| VII. პროტესტში წასული თამასუქები . . . . . | 900 | — |
| VIII. გირაოთი გაცემული სესხი: | | |
| ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. . . . . 7146—19 | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. 13299—20 | | |
| გ) საქონელზედ . . . . . 13745—— | | |
| დ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 6061—40 | 40251 | 79 |
| IX. დასაბრუნებელი ხარჯი . . . . . . . . | 175 | 62 |
| X. მოწყობა-მომართვა . . . . . . . . . . | 971 | 84 |
| XI. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი . | 232 | 48 |
| XII. სხვა-და-სხვა დებიტორები . . . . . . . | 290 | 41 |
| XIII. გარდასაცემი თანხა . . . . . . . . | 27 | 21 |
| XIV. მიმდინარე ხარჯი . . . . . . . . . . | 5646 | 53 |
| ს უ ლ | 324584 | 83 |

**პასსივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 742 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან. . . . . . . . . . . . . | 77353 | — |
| II. სათადარიგო თანხა (შემდგარია 1898 წელს). | 3141 | 16 |
| III. სარგებელი სათადარიგო თანხის კუთვნილ. ფასიან ქაღალდებისა . . . . . . . . . . | 16 | 16 |
| IV. შემოტანილი ფული: | | |
| ა) მიმდინარე ანგარიშით . . . 86168—16 | | |
| ბ) ვადით . . . . . . . . 142630—— | 228798 | 16 |
| V. გარდასაცემი თანხა . . . . . . . . | 2376 | 58 |
| VI. გარდასახდელი სარგებელი . . . . . . . | 1989 | 92 |
| VII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . . . . . . . . . . | 207 | 39 |
| VIII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ-მოთხოვნილი საზოგადოების წესდების მე-12 და 13 §§-ის თანახმად . . . . . . . . . . . . | 500 | — |
| IX. მიღებული სარგებელი. . . . . . . . . | 7816 | 37 |
| X. 1898 წ. წაუღებელი დივიდენდი . . . . . | 2345 | 38 |
| XI. 1898 წლის წმინდა მოგების გაუნაწილებელი ნაშთი. | 40 | 71 |
| ს უ ლ | 324584 | 83 |
| პასუხის-მგებლობა 742 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა . . . . . . . . | 696177 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება . . . . . . . . . . . . | 2400 | — |
| თამასუქები საკომისიოდ . . . . . . . . | 818 | 40 |

(1—ნ.—1)

**საზოგადოება იხდის:** მიმდინარე ანგარიშზედ შემოტანილ ფულისას 3%, უვადოდ შემოტანილისას—2%, 6 თვის ვადით შემოტანილისას—4%, წლისა და მეტის ვადით—$5^1/_2$%; **ახდევინებს:** თამასუქის განაღდებით ექვსი თვის ვადამდე გაცემულ ფულისას—$9^1/_2$%, ვადიან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხვათა განაღდებით გაცემულ ფულისას—6%, სესხით გაცემულისას: ა) %-იან ქაღალდზედ 6%. ბ) საქონელსა და სასოფლო ნაწარმოებზედ—9%, თუ საგანცებო მიმდინარე ანგარიშით არის გატანილი და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილის ქაღალდების გირაოზედ—7%, არა-უზრუნველ-ყოფილ ფასიან ქაღალდების გირაოზედ—$7^1/_2$%, თამასუქების გირაოზედ—$9^1/_2$%-ს

Дозволено цензурою, Тифлисъ 15 го Іюля 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.